დანართი

ვაქცინაციის ჩატარების წესი

მუხლი 1. რისკის ან პრიორიტეტულ ჯგუფს გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია შეუძლია ჩაიტაროს:

1.1. დიაბეტის მქონე პირებმა; მუკოვისციდოზით დაავადებულებმა; ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარებმა და მათმა მომვლელმა პერსონალმა; ორსულებმა; ''სავალდებულო პროფილაქტიკურ იმუნიზაციას დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N 01/ - 6/ნ ბრძანების დანართი 1 -ით განსაზღვრულმა სავალდებულო იმუნიზაციას დაქვემდებარებულმა პროფესიულმა ჯგუფებმა - საქართველოში არსებულ იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომელებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში, როგორც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების მიმწოდებელნი;

1.2. C ჰეპატიტის მქონე პირებმა (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი) - იმ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც ისინი გადიან C ჰეპატიტზე მკურნალობის კურსს ან საქართველოში არსებულ იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში, როგორც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების მიმწოდებლნი;

1.3. აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირებმა - იმ სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც გადიან აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობის კურსს ან საქართველოში არსებულ იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში, როგორც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების მიმწოდებლნი;

1.4. დიალიზზე მყოფმა პირებმა - იმ სამედიცინო დაწესებულებებში სადაც რეგისტრირებული არიან დიალიზის მომსახურეობის მიმღებად ან საქართველოში არსებულ იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში, როგორც გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების მიმწოდებლნი;

მუხლი 2. „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების საფუძველზე, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველმყოფი გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების მიმწოდებლად დარეგისტრირებული დაწესებულებების ანაზღაურება გაწეული მომსახურებისთვის შეადგენს 1 (ერთი) ლარს, სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი სოფლის ექიმისა და ექთნის შემთხვევაში 50-50 თეთრს.

მუხლი 3. ამ წესის პირველი მუხლით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან იმუნიზაციის პროცესი ჩაატარონ შეუფერხებლად, ამ ბრძანებით დადგენილი წესით, თუ არსებობს ასაცრელი პირის რომელიმე რისკის ან პრიორიტეტულ ჯგუფში მიკუთვნების კანონიერი საფუძველი.

მუხლი 4. ამ წესით განსაზღვრული ვაქცინის ადმინისტრირება დაშვებულია COVID-19-ის ვაქცინაციასთან ერთად, ერთსადაიმავე დღეს, სხვადასხვა ზედა კიდურზე - მხრის ზედა ნაწილში, დელტისებურ კუნთში), წინააღმდეგ შემთხვევაში რეკომენდებულია, რომ აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი იყოს 14 დღე.